



შეხვედრის აღწერა/ფორმა: კითხვა-პასუხის სესია

თარიღი/დრო: 14.12.2021

მონაწილეები: GCSD - მარიამ თოხაძე, ქეთევან იმერლიშვილი, ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, ტენდერით დაინტერესებული პირები

განხილული საკითხები: საინფორმაციო კამპანიის შესახებ გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებული კითხვები(კითხვა(Q) - პასუხი(A)):

Q: არის თუ არა ბიუჯეტში განსაზღვრული კონკრეტული ლიმიტი ?

A: ბიუჯეტის მოცულობა დაახლოებით 100 000 დოლარს შეადგენს.

Q: ითვისწინებს თუ არა საინფორმაცია კამპანია კონკრეტულ მიმართულებებს, რომელთა განხორციელებაც თქვენთვის პრიორიტეტული იქნება ?

A: საინფორმაციო კამპანიის წარმართვის ეტაპები და კონკრეტული მიმართულებები სრულად განმახორციელებელი კომპანიის არჩევანზეა დამოკიდებული. ამ ხედვის საფუძველზე მოხდება განაცხადების შეფასება.

Q: ვინ წარმოადგენს დონორ ორგანიზაციას ?

A: აღნიშნული პროექტი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

Q: შესაძლებელია თუ არა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში აქტივობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთზე მეტი კომპანიის შერჩევა ?

A: ასეთი ტიპის შეზღუდვა არ არის. თუ განმცხადებელი საჭიროდ მიიჩნევს საპროექტო წინადადებაში წარმოადგინოს სხვა კომპანიაც ეს ხელისშემშლელ ფაქტორად არ ჩაითვლება.



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



Q: დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, ვის შეიძლება მივმართოთ?

A: ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღების/დაზუსტების მიზნით მოგვწერეთ მეილზე: gcsd@gcsd.org.ge

Q: როდის არის განაცხადების მიღების და კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა ?

A: ტენდერთან დაკავშირებით კითხვების გამოგზავნა შეგიძლიათ 2022 წლის 20 იანვარის ჩათვლით, ხოლო განაცხადების მიღების ბოლო ვადა კი 2022 წლის 31 იანვრის 18:00 საათია.